წერილის ნომერი: **18-01191433405**
თარიღი: **23/05/2019**
პინი: **4033**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 23 მაისის №60-01191431338 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (დალი ბენაშვილის №AR1663278 განცხადებით წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა; გამწვანების პროექტი), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, შპს „გალაქსი კონსტრაქშენის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N10ბ, ს.კ.:01.10.06.006.239; ფუნქციური ზონა: სზ-6) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეთანხმებული პროექტის ცვლილების მიზნით, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 21-ე და 21^1-ე მუხლების საფუძველზე და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ვინაიდან, მოცემულ ტერიტორიაზე 2 ძირი შავი ვერხვი (N56-დ.38.2სმ; N57-დ.88.5სმ) არის საღი, რომლებიც მდებარეობს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვით არ დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, **სამსახური თანახმაა გასცეს აღნიშნული 2 ძირი ხის გადარგვის ნებართვა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.**

რაც შეეხება სხვა დანარჩენი მცენარეების საკითხს, **სამსახურმა 2018 წლის 6 აგვისტოს N18-01182183217 წერილით, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, დააფიქსირა პოზიცია** და გასცა 2 ძირი (N 11; 51) ხის მოჭრის ადმინისტრაციული დაპირება. ასევე, ამავე წერილით, გაიცა 46 ერთეული მცენარის გადარგვის ადმინისტრაციული დაპირება (N 2-8;10;12-31;34-47;52-55;) სხვა დანარჩენი ნარგავის შენარჩუნების ვალდებულებით (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).

გამწვანების პროექტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მოცემული პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (დასარგავი 8 ძირი იტალიური ფიჭვი, 7 ძირი წითელი მუხა და 5 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, **სულ - 20 ერთეული ხე**) სრულად ითვისებს, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 დეკემბერის N1030978 გადაწყვეტილებით დადგენილ სავალდებულოდ ასათვისებელ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (167.65 კვ. მეტრი). აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვავებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **ამდენად სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის

მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია (**სადაც უნდა მიეთითოს დასარგავი ნერგების გარშემოწერილობა, რომლებიც უნდა იყოს არანაკლებ 20 სმ და არსებული (შესანარჩუნებელი და გადასარგავი) ნარგავები).**

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი